წ. I 1915 წ. ოთხშაბათი 25 თებერვალი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ...... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დღის 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 20 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 20


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

---

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** აუწყებს ქართველ საზოგადოებას უდროოთ გარდაცვალებას სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატის

## თ-დ ვარლამ ლევანის ძის გელოვანისას.

პანაშვიდი გარდახდილ იქნება დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე, საკრებულო ტაძარში. 1—1

---

**წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა** აუწყებს ქართველს ერს სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატის

## ვ ა რ ლ ა მ გ ე ლ ო ვ ა ნ ი ს

უდროოთ გარდაცვალებას.

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 ს. საკრებულო ტაძარში. 1—1

---

**შავი ქვის მრეწველთა საბჭო** გულითადის მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის

## ვარლამ ლევანის ძის გელოვანის

უდროოთ დაკარგვას. პანაშვიდი დანიშნულია საკრებულო ტაძარში, დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 ს. 1—1

---

**ქუთაის საურთიერთო ბანკის გამგეობა** აცნობებს ქართველ საზოგადოებას სახელმწიფო სათათბიროს წევრის

## თ-დ ვ ა რ ლ ა მ გ ე ლ ო ვ ა ნ ი ს

უდროოთ გარდაცვალებას.

პანაშვიდი დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე, საკრებულო ტაძარში. 1—1

---

**ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** აუწყებს ქართველ საზოგადოებას სახელმწ. სათათბიროს ქართველ დეპუტატის

## ვარლამ ლევანის ძის გელოვანის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათ. საკრებულო ტაძარში. 1—1

---

**ქუთაისის დრამატ. საზოგადოება** მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას სახელმწიფო სათათბიროს წევრის

## ვარლამ ლევანის ძის გელოვანის

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 25 თებერვალს, ნაშვადღევის 2 სათ. საკრებულო ტაძარში. 1—1

---

ამჟამად ქუთაისის მცხოვრებნი — ლეჩხუმის მაზრის მკვიდრნი, თავის მარშლის თავ. იასონ გელოვანის მეთაურობით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გმირულად გარდაცვალებას, თვისგან რჩეულის, ნდობით აღჭურვილის და თვისის შვილის, სახელმწიფო სათათბიროს წევრის—

## ვარლამ (კუჭიკო) გელოვანისას,

რომლის სულის მოსახსენებლათ პანაშვილი დანიშნულია დღეს, 25 თებერვალს, ქუთ. საკათედრო ტაძარში, დღის 12 საათზე. 1—1

---

**ქართულ გიმნაზიის გამგე და მასწავლებელთა კორპორაცია** აუწყებს ქართველ საზოგადოებას სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატის

## ვარლამ ლევანის ძის გელოვანის

უდროოთ გარდაცვალებას

პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, 25 თებერვალს, საკათედრო ტაძარში, ნაშუადღევის 2 საათზე. 1—1

---


ქუთაისი **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი
გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

## ამხ-ბა „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი"-ს

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბ რ ე შ უ მ ე უ ლ ო ბ ა,
შ ა ლ ე უ ლ ო ბ ა,
მ ა უ დ ე უ ლ ო ბ ა
და ბ ა მ ბ ე უ ლ ო ბ ა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კასტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი" „კრეპ—აბრეტინი" და „კოტლე—ნოველი" მანტოსათვის:

„ფ ა ი—რ ე ნ ე" და „ფ ა ი—შ ი ქ."

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაკტურის ნაწარმოები.

**ფასები შეუფასებლათ** თ.


---

**კომერციულ სწავლის გამავრცელებელი საზოგადოება** აუწყებს ქართველ საზოგადოებას სახელმწიფო სათათბიროს წევრის

## ვარლამ ლევანის ძის გელოვანის

უდროვოთ გარდაცვალებას.

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე საკრებულო ტაძარში 1—1

---

**ქუთაისის ეთნოგრაფიული საზოგადოება აცნობებს ქართველ** ერს სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატის

## ვარლამ გელოვანის

უდროვოთ გარდაცვალებას

პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, 25 თებერვალს, საკათედრო ტაძარში, ნაშუადღევის 2 საათზე. 1—1

---

**ქუთაისის ქალთა საზოგადოება** აცხადებს, რომ კვირას 22 თებერვალს, თბილისში გარდაიცვალა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი

## თ-დი ვარლამ ლევანის ძე გელოვანი,

რომლის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე, საკათედრო ტაძარში. 1—1

---

**გაზეთ „სამშობლო"-ს რედაქცია** მადლობით მუხლს იყრის

## ვ ა რ ლ ა მ გ ე ლ ო ვ ა ნ ი ს

ნეშტის წინაშე.

**მან პირველმა აღიმაღლა ხმა ქართველი ერის სახელით და აუწყო ქვეყანას ჩვენი სამშობლოს გაჭირვება.**

პანაშვიდი დანიშნულია საკრებულო ტაძარში დღეს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე.

---


დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

ნ. ს. **ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права"

Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური

---

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში **ნიკიფორე მ. ჯანელიძის** მაღაზიაში; **ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

---

## ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

## ექიმი ი. ჩარექოვი

ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**კბილის მენალარიშრილი და ტრუფა-ექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გად-[illegible] ქ. ქუთაისში. თბილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.


---

## ვარლამ გელოვანის ხსოვნას.

აუარებელ მსხვერპლს, რომელიც პატარა საქართველომ საერთო სახელმწიფოებრივ საქმეს შესწირა, კიდევ ერთი მსხვერპლი მიემატა! გარდაიცვალა ქართველი დეპუტატი შავი სახადისაგან, რომელიც მას ბრძოლის ველზე სანიტარული მოვალეობის ასრულების დროს შეეყარა. მოკვდა, როგორც გმირი რაინდი, და თავისი სიკვდილით თავისი სამშობლო ასახელა.

მაგრამ მისი უდროო გარდაცვალებით ბევრი რამე დააკლდა ჩვენს პატარა ქვეყანას, რადგან, ჯერ ერთი, ვარლამი, შეიძლება ითქვას, პირველი ქართველი დეპუტატი იყო, რომელმაც საქართველოს ისტორიული უფლება მოაგონა სათათბიროსა, და, მეორე, მისი ცოცხალი, მომხიბვლელი პიროვნება ყველა დეპუტატს იზიდავდა და იახლოვებდა. და პირადი დამოკიდებულებითა და გავლენით ბევრის გაკეთება შეეძლო, რომ დასცლოდა და მუხთალ ბედისწერას ის ჩვენთვის ხელიდან არ გამოეტაცა.

ოჰ! რა უსამართლოა წუთისოფელი! რა დროს მისი სიკვდილი იყო?! ჯერ ახალგაზდას, ჯან-ღონით სავსეს, მას სიცოცხლე სწყუროდა. და თავისი გულკეთილობითა და მხიარული ხასიათით მას, სადაც უნდა ყოფილიყო, მხიარულება, სიცოცხლე და კეთილშობილი გულისთქმა შეჰქონდა.

იმავე დროს ის ჭირშიაც ხალხის უეპრო, უშიშარი, შეუპოვარი და თავდადებული მეგობარი იყო, როგორც ეს თავისი სიკვდილით დაამტკიცა.

ამგვარად მისი სიკვდილი არა ნაკლებ სასახელო იყო, ვიდრე მისი ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი საპარლამენტო მოღვაწეობა.

და მისი სამშობლო და მთელი რუსეთი არ დაივიწყებენ მის სახელს.

**ვახილ წერეთელი.**

# დღეს რა მოხდა.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

პრასნიშის რაიონში დავიკავეთ სიმაღლე 100—3.

გერმანელები 22 თებერვლიდან ოსოვეცზე 12 დიუმიან მორტირების დაშენას განაგრძობენ.

მლავის მხარეზე სადგურ კონოპკას აღების დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ ერთი ბათალიონის სარდალი, რომელიც წინათ პრუსიის გენერალურ შტაბში მსახურობდა.

**ინგლის-ოსმალეთის ასპარეზი.**

ინგლისელების მზვერავმა რაზმმა ოსმალების 2.000 კაცისგან შემდგარი ჯარი დაამარცხა და ტყვეთ წამოიყვანა სამი გავლენიანი შეიხი.

**დასავლეთის ასპარეზი.**

პერტის ჩრდილოეთით ფრანგები წინ მიიწევენ.

ვოგეზში ფრანგებმა ინზერგი დაიკავეს.

**დარდანელთან.**

ჯავშნოსანმა გემმა „კვეინ ელიზაბეტ" დარდანელის სრუტეში შევიდა და ფორტების ორივე მხარეს შორიდან ყუმბარები დაუშინა.

**შავ ზღვაზე.**

შავი ზღვის ფლოტმა ერეგლის, კილიმნისა და კოზლუს ზარბაზნები დაუშინა. ყუმბარებით განადგურდა ნახშირის საწყობები და გადასაზიდი შენობები. ჩვენმა ფლოტმა შავ ზღვაზე მტრის ცხრა გემი ჩასძირა.

**საბერძნეთი.**

ვენიზელოსი სამინისტროდან გადადგა. მისმა გადგომამ ხალხზე ცუდი გავლენა იქონია.

# სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

ქუთ. ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა თფილისიდან შემდეგი დეპეში მიიღო:

„თფილისის ქალაქის თვითმართველობა იზიარებს ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისა და მთელი ქალაქის მცხოვრებლების ულრმეს მწუხარებას დეპუტატ გელოვანის დაკარგვის გამო, რომელმაც გმირულათ შესწირა თავი მოყვასის სიყვარულისათვის.

— —

23 თებერვალს, საღამოთი შავიქვის საბჭოს დარბაზში დეპუტატ გელოვანის გარდაცვალების გამო შესდგა ქუთ. ყველა კულტურულ დაწესებულების წარმომადგენელთა კრება. კრებამ აირჩია დამკრძალავი კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ი. მ. ჩიქოვანი, წევრებათ: იოსებ ოცხელი, პეტრე ყიფიანი, ევგენი გეგეჭკორი, გრიგოლ გიორგაძე, ია ეკალაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, ტიტე მარგველაშვილი, ილ. ფირცხალაიშვილი, იოსებ კემულარია, პავლე ჩინკვეტაძე, სვიმონ მდივანი, გიორგი შავდია, აკაკი ფაღავა, გრიგოლ ლაღიძე, შოთა დადიანი და ბ-ნი ჯორჯიკაშვილი.

— —

გუშინ, 24 თებერვალს, ნაშუადღევის [illegible] ქუთაისის თავად-აზნაურობის მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი დეპუტატ ვარლამ გელოვანის სულის მოსახსენებლათ.

— —

დეპუტატ ვარლამ გელოვანის გადაცვალების გამო, ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დავით ოტიას ძე ნიჟარაძემ თფილისიდან ქალაქის თავის ხატისოვისაგან შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო: თფილისის ქალაქის თვითმართველობა ქუთაისის თავად-აზნაურობას და მთელ გუბერნიის მცხოვრებთ გულითადი მწუხარებით უსამძიმრებს თ-დ გელოვანის უდროვოთ გარდაცვალებას, რომელიც მოყვასისადმი სიყვარულის მსხვერპლი შეიქნა.

— —

ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა იასონ დავითის ძემ გელოვანმა თფილისის ქალ. თავის ხატისოვისაგან შემდეგი დეპეში მიიღო:

„თფილისის სამოქალაქო სამართველო გულითადის სიღრმით გისამძიმრებთ თ-დ გელოვანის უდროოთ გარდაცვალებას, რომელიც მოყვასისადმი სათნო სამსახურის აღსრულების დროს დაიღუპა.

— —

ვარლამ გელოვანის უეცარი სიკვდილი გლოვის ზარივით მოედო ჩვენს ქვეყანას. სიცოცხლით სავსე ჭაბუკმა გმირულათ შესწირა თავი სახელმწიფო ინტერესებს და კაცმოყვარეობას.

მსოფლიო ომის საშინელებამ კიდევ მოგლიჯა საქართველოს ეს ერთგული და ნიჭიერი მამულიშვილი, რომელიც ისე მედგრათ და გაბედულათ იცავდა სათემსტვოო საათათბიროს ამბიონზე თავის სამშობლოს ეროვნულ ინტერესებს.

ჩვენი ულრმესი თანაგრძნობა მის ნათესავებს. დაე ინუგეშონ თავი, რომ მათი ძვირფასი კუჭიკო მოკვდა სასტიკ სენისაგან ვით გმირი, ვით მამაცი რაინდი ბრძოლის ველზე, როცა იგი თავგანწირვით უმსუბუქებდა მეომართ მძიმე ხვედრს და შველოდა დაჭრილთ.

განისვენე სამარადისოთ ძილით, ღირსეულო ქართველო და ქებულო ადამიანო! კურთხეულ იყოს ხსენება შენი სამარადისოთ!..

ფედოსი და სიმონ ქვარიანი.

# დეპუტატ გელოვანის გარდაცვალების გამო.

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვარლამ გელოვანის გარდაცვალების გამო ქუთაისის ქალაქის გამგეობამ 23 თებერვალს, შემდეგი დაადგინა:—

1) 25 თებერვალს საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნას პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რომელსაც უნდა დაესწროს ქალაქის საბჭოს და გამგეობას მთელი შედგენილობა;

2) 26 თებერვალს განსვენებულის წირვა პანაშვიდს საკათედრო ტაძარში და ქუთაისიდან ცხედრის წასვენებას დაესწროს საბჭოსა და გამგეობას მთელი შედგენილობა;

3) ქალაქის თვითმართველობის სახელით განსვენებულის კუბო შემკობილ იქნეს გვირგვინით;

4) ქალაქის საავათმყოფოში დაარსდეს განსვენებულის სახელობის ერთი საწოლი, რომელზეც უნდა იქნეს განსვენებულის სურათი შესაფერის წარწერით;

5) ქუთ. ქართულ გიმნაზიაში დაარსდეს განსვენებულის სახელობაზე ერთი სტიპენდია, რომლის რაოდენობა უნდა უდრიდეს წლიურ სწავლის ფულს და უნდა დაინიშნოს პირველი კლასიდან მე 8-ე კლასამდი. სტიპენდიის დანიშვნა გიმნაზიის მთავრობის განკარგულებაში იქნება.

6) განსვენებულის ოჯახობას გაეგზავნოს სამძიმარის დეპეში. და 7) განსვენებულის პატივისაცემათ 23 თებერვალს დანიშნული ქალაქის საბჭოს კრება შემდეგისთვის გადადვეს.

# რუსების აზრი გელოვანის შესახებ.

დივიზიის უფროსი სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარეს აწ უკვე გარდაცვალებულ დეპუტატ თ-დ გელოვანის შესახებ შემდეგს აცნობებს:

„ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს გაუწყოთ, თუ რა თავგანწირული სამსახური გაუწია ჩვენს ჯარს სახელმწიფო სათათბიროს მესამე საეტაპო ლაზარეთმა, რომელსაც თ-დი გელოვანი ხელმძღვანელობდა.

ქრისტეშობის თვის შუა რიცხვებში ჩემდამი რწმუნებულ დივიზიის პოლკები ომში გაიგზავნა, რომელიც მტერთან განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა. მესამე საეტაპო ლაზარეთი, გელოვანის ხელმძღვანელებით, ჩემს დივიზიასთან ახლოს იყო და პირადად ვნახე გელოვანისა და ამ ლაზარეთის წევრთა აუტანელი შრომა. ყინვა 35—40 გრადუსამდი იყო, თოვლი ორ არშინის სიმაღლეზე მიწას გადაჰკროდა. აი ასეთ დაბრკოლებებს ებრძოდა გელოვანი და გამარჯვებულიც დარჩა. გელოვანის სიფხიზლისა და დაუცხრომელი გარჯილობის წყალობით, მესამე საეტაპო ლაზარეთში მუშაობა არ შეწყვეტილა. დაჭრილ მეომართა მოვლა-პატრონობის საქმე სამაგალითოდ იყო დაყენებული. საკმარისია ვსთქვა, რომ თ-დ გელოვანის სანიტარულ რაზმში დილის 4—5 საათზე მუშაობის დაწყება ჩვეულებრივი მოვლენა იყო"

# აღსრულდა!

— —

ხანმოკლე, ნაყოფიერი, მაგრამ ჯვარცმული მოღვაწეობა საქართველოს ხალხოსნურ-ეროვნულ წარმომადგენლისა შესწყდა!

უმადურობითა და გასაშტერებელი დევნით დაკოდილმა გულმა განისვენა.

ხალხის „მცარცველთა" სწორეთ ამავე ხალხის შვილების მოვლას უმსხვერპლა თავისი სიცოცხლეცა და ოჯახიც!..

მაგრამ... ქართველი, საზოგადოთ ბუნება-თანაზიარი და მთა-გადამიელთა უზედურობისათვის თავ-გამოდებული, შინაობაში ხშირათ გულქვაობასა და გულგრილობას იჩენს,—გულგრილობას, ნამდვილი ქართველისათვის შეუფერებელს, მიუკარებელს და ფრიად დამამცირებელს.

ჯგუფის მკვდარი! ჯგუფის ცოცხალი! ჯგუფის წმინდანი!

და ლამის ქართველმა დაკარგოს სახიერება, სათნოება და კეთილშობილება გულისა, რომელიც უმაღლესი ზნეობრივი სამკაულია ერისათვის!..

ხელოვნურათ შექმნილი და ხალხში ბოროტად დათესილი გარეწრობა საშინელი საწამლავია და სახარების ღვარძლზედაც უფრო მავნებელია წმინდა იფქლისათვის.

მეტათ მწარეა ბედი ქართვლისა!

საქართველოს ხსენებას თავიდანვე ძაძამოსილი მიეგებენ, არა მარტო ისინი, ვისგანაც ეს ბუნებრივათ მოსალოდნელი იყო,—ისინიც კი, ვისაც ეს ხსენება ყოველშემთხვევაში ცუდს არას უქადდა!..

მაგრამ... ნუმც გაუხარიათ, ვისაც საქართველოს სახელი [illegible] ბოდა! ვისაც ქართველობა [illegible] მავდა! ვინც ხალხისა და ერის [illegible] ინტერესებს კუჭის საზომითა ზომავს და, ქვენა-გრძნობებით აღტყინებული, პირადის თუ ვიწრო ჯგუფური ქინიანობით აღვსილი, საოცარი ცილისწამების წუმპემდი დაქვეითებულა!

შენ კი, მრავალწამებული ქვეყნის მრავალ წამებულო წარმომადგენელო, მშვიდათ ჩაეკარი შენ სამშობლოს მიწას იმ მტკიცე რწმენითა და იმედით, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი აგერ საცაა გადალახავს მის წინ ხელოვნურათ ამართულ კედელს და მტრათ გამოცხადებულს, სააღდგომო გიხაროდენს ჩამოგძახებს.

დაიმშვიდე დაწყლულებული გული!

**დონ.**

# პასუხად „ახალ აზრის" რედაქციას.

„ახალი აზრის" რედაქცია მეტათ გაუბრაზებია ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას „ნაციონალიზმის და ინტერნაციონალიზმის" შესახებ (იხ. „სამშობლო" №№ 14,15) და სხვა რამ ვერაფერი გოუხერხებია მიუმართავს ჩვეულებრივ საშუალებისათვის, ლანძღვა-გინებისათვის და ნაირ-ნაირ ეპიტეტებით გვამკობს, რომლის მოყვანაც არ მიგვაჩნია საკადრისათ მკითხველისათვის.

როგორ გაკადნიერდით და თქვით,—გვისაყვედურებს გაზეთი,—რომ მარტო საქართველო გახლავთო ის კურთხეული ქვეყანა, რომლის ზოგიერთ შვილს ჯერ კიდევ უქმ საქმეთ არ მიაჩნიათ დღევანდელ პირობებში ერთა და ხალხთა შორის ძმობა-ერთობის და სოლიდარობის მტკიცება და ქადაგებაო. ნუ თუ არ იცითო, —განაგრძობს გაზეთი,—რომ ჩვენ ამ საქმეში ამხანაგები ბლომათ მოგვეპოება „ნეიტრალურ ქვეყნებში"ო, კიდევ მეტი, არც მებრძოლი ქვეყნების სოციალისტებს აუღიათ სავსებით ხელი ასეთ ქადაგებაზეო. გვარწმუნებს გაზეთი.

ვისაც ჩვენი წერილები წაუკითხავს გულდასმით და მოუნდომებია გაგება მასში გამოთქმული **დედა-აზრისა**, რასაკვირველია დაგვეთანხმება, რომ ჩვენ იქ იმდენათ ის კი არ გვაინტერესებდა, თუ რამდენი თანაგრძნობი ან მიმდევარი ყავთ ჩვენ სოციალისტებს „უქმ საქმიანობაში" ან უკეთ, რომ ვსთქვათ, „უსაქმობაში" ნეიტრალურ თუ მებრძოლ

# სასცენო ხელოვნება.

**მოხსენება აკაკი ფაღავასი**

(**წაკითხული სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე**).

(გაგრძელება).

დედა ბოძი თეატრისა არის მსახიობი, ე. ი. ის ადამიანი, რომელიც განასახიერებს ადამიანთა გრძნობას.

როდესაც ავტორმა დასწერა პიესა, მოიტანა თეატრში, რეჟისორმა შეისწავლა იგი, შეუკვეთა და დაამზადებინა მხატვარს ესკიზები დეკორაციისა, მოწყობილობისა და მომქმედ პირთა, მოიწვია დასი, წაუკითხა პიესა, გამართა საუბარი, გამოარკვია ლიტერატურული, პსიხოლოგიური, ისტორიული თუ ყოფა-ცხოვრებითი მხარე პიესისა, დაურიგა როლები მსახიობთ, მსახიობი თვითონ კითხულობს შინ პიესას რამდენიმეჯერ, იქამდის, სანამ ნათლად არ წარმოუდგება მთელი შინაგანი თვისება და გარეგანი ფორმა პიესისა: ე. ი. იმ ცხოვრებისა, იმ ადამიანთა, რომელიც ავტორმა გამოსახა თავის პიესაში.

ეს არის მოთხოვნილება მაქსიმუმი.

უნდა გამოვტყდე, რომ ეს მოთხოვნილება იშვიათად სრულდება თვით საუმჯობესო თეატრებშიაც და მით უფრო ძნელია ამის მოთხოვნა დღევანდელ პირობებში მყოფ ჩვენი მსახიობისაგან. მაგრამ ის მინიმუმი, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ყველა მსახიობმა, რომელიც კი მონაწილეობას ღებულობს პიესაში, არის შემდეგი: უეჭველი ცოდნა პიესის შინაარსისა თავიდან ბოლომდი და შეძლება დახასიათების ყველა მომქმედ პირთა. რასაკვირველია აუცილებელია ცოდნა ყოველივე დეტალისა თავისი როლისთვის. ვინიცობაა მსახიობი ვერ მორევია პიესას თუ როლს, მაშინ რეჟისორის საქმეა დახმარება გაუწიოს.

იმედი მაქვს, რომ ისეთი ისტორიული შემთხვევა, როდესაც „ოთარაანთ ქვრივის" ზოგიერთმა მონაწილემ მისი შინაარსიც არ იცოდა, მომავალში არ განმეორდება.

ამგვარად, როდესაც მსახიობმა მოისმინა პიესა და მისი გარჩევა, შეისწავლა შინაარსი, გაეცნო ხასიათებს, იხილა და განიცადა ესკიზი მხატვრისა რეჟისორის მიერ მოწონებული, დააკვირდა მოწყობილობას, რომელიც გარს უნდა ჰქონდეს როლის ასრულების დროს, იგი შეუდგება როლის შესწავლას.

ეს საქმე ასეთია: ცალ გვერდზე გადაწერილი როლი კარანდაშით ხელში უნდა აიღოს მსახიობმა და მოახდინოს ანალიზი არამც თუ თითოეული მონოლოგის, არამედ თითოეული წინადადებისაც კი, გამოიკვლიოს თუ რა გრძნობას გამოსახავს ავტორის სიტყვებში: შიშს, სიხარულს, აღელვებას, აღშფოთებას, სასოწარკვეთილებას, თუ სხვა რასმე. ეს თავისი შენიშვნები უნდა წარუდგინოს რეჟისორს და მასთან ერთად დაადასტუროს იმ გრძნობათა გამმა, რომელთა განსახიერება წილად ხვდა მას. როდესაც ეს პროცესი გაივლის, მაშინ მსახიობი იგონებს თუ განუცდია მას შესაფერი გრძნობა თავის საკუთარ სიცოცხლეში და ხელახლა იწვევს ამ გრძნობას. გრძნობათა განმეორება შესაძლებელია, ამას ამოწმებს თანამედროვე პსიხოლოგიაც. ხოლო საჭიროების დროს ამა თუ იმ გრძნობის გამოწვევა და ხელახლა განცდა მსახიობის საქმეა. სწორედ ამით განირჩევა მსახიობი სხვა ადამიანთაგან და ვისაც ეს არ შეუძლია, ის მსახიობი არ არის.

ამგვარად, მსახიობი ითვისებს იმ გრძნობას, რომლისგანაც მოქსოვილია მისი როლი. როდესაც იგი საკმაოდ შეითვისებს საჭირო გრძნობას, მაშინ რეჟისორი იწვევს მას სცენაზე და იქ განცდათა თანახმად იქმნის mises èn scene-ებს.

უეჭველი პირობაა, რომ ეს განცდა იყოს ნამდვილი და ბუნებრივი. გამოსახვა მისი საჭიროა მარტივად. შეთვისებული გრძნობა თვით უკარნახებს მსახიობს თავის დაჭერას, ამა თუ იმ ჟესტს.

მსახიობის საქმე არ არის თავის კრიტიკა, ანუ იჭვიანობა. ხშირად მსახიობი ყოყმანობს, არ იცის გამოუდის თუ არა როლი, ან ადგილი როლისა. ხშირად ისეთი ადგილი, რომელიც ნამდვილია, მას ყალბად მიაჩნია და პირიქით ყალბი ადგილი ჭეშმარიტებად.

ეს მეტად მავნებელია მსახიობისთვის, მისი საქმე არ არის იჭვიანობა. თუ რეჟისორმა ანდო როლი, მაშასადამე მას შესწევს შესაფერისი ძალღონე, კრიტიკა მსახიობისა (რასაკვირველია შემოქმედების დროს) სავსებით რეჟისორის პრეროგატივას, უფლებას შეადგენს.

როდესაც ჩვენს თეატრს და კერძოთ მსახიობს მიუთითებთ ამა თუ იმ ნაკლზე— გეტყვიან, ეგ წვრილმანიაო. კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ სცენაზე წვრილმანი არ არსებობს. არის დიდი და პატარა მსახიობი ნიჭის თუ გამოცდილების მხრით. არის ფრიად დიდი ფორმატის ნივთი და სრულიად პაწია კოლოფი სცენაზე, მაგრამ ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სცენაზე წარმოდგენისათვის. მე ვგულისხმობ წარმოდგენას, როგორც ერთიან მხატვრულ ნაწარმოებს.

ვენერა, ან აფროდიტე ვერ იქმნება უნაკლო მშვენიერების გამოსახულება, იგი არ იქმნება ხელოვნების ნიმუში, თუ ცალ თვალს ბრუციანს გაუკეთებთ

სწორედ ასევეა სცენაზე, წარმოდგენის დროს, რომელსაც ერთი ყალბი განცდა, ერთი უხამსი ჟესტი, ერთი შეუფერებელი ფერადი დალუპავს.

წარმოდგენის ყველა შემქმნელთა შორის არსებობს მჭიდრო კავშირი: რეჟისორი იქნება ეგ, მსახიობი, სკამი, ბალიში, მუშა თუ ტეხნიკი.

ჩვენში ბევრი იქნება ისეთი პირი, რომელიც იტყვის: „თქვენ პირს შაქარი, მაგრამ განა შესაძლებელია ჩვენთვის ყოველივე ესაო". თან ირონიულის ღიმილით დამასაჩუქრებს. იქნებ ზოგიერთმა გიჟიც კი მიწოდოს, ან უკეთეს შემთხვევაში ფანტაზიორი. მე არც ერთის არ მეშინიან, რადგან ვერც ერთ აზრს ვერ გავიზიარებ. რასაკვირველია ის, რაც მე დაგისახეთ შედარებითი იდეალია, განსაკუთრებით ჩვენთვის. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, იმას, რომ ჩვენ უარი ვსთქვათ მის განხორციელებაზე, უკიდურეს შემთხვევაში არ დაუახლოვდეთ მას.

ვიცი რა ჩვენი ძალღონე, მე განგებ დავსახე ასეთი მკრთალი იდეალი.

ნუ თუ გგონიათ, რომ ის თეატრები, რომელნიც საუმჯობესოთ ითვლებიან უკლებლივ და მუდამ ახორციელებენ იმას, რაცა სურთ, ან რასაც შეიცავს ჩემ მიერ დახატული სურათი? წარმოიდგინეთ, რომ არა. მაგალითისთვის ავიღებ მოსკოვის სახელოვნო ანუ სამხატვრო თეატრს. იქ დადგმულ „40 პიესათა შორის: ათი წლის განმავლობაში (1898—1908) უეჭველი მოწონება ერგო 12 პიესას, 12-მა კარგათ ჩაიარა და დანარჩენი 16 არ მოიწონეს. მხოლოდ ერთად ერთი პიესის შესახებ შეუძლიან სთქვას მოსკოვის თეატრმა, რომ იგი სრულიად უნაკლულოდ განახორციელეო, რომ მხოლოდ ერთ პიესაში ავტორისა და თეატრის შემოქმედება შესისხლხორცდენ უკლებლივო. ეს არის ჩეხოვის „სამი და".

ზემოდ დასახელებულ აზრის მატარებელთ გაუხარდებათ. ეგონებათ, რომ ეს ფაქტი მათ სასარგებლოთ მეტყველებს, მით უფრო, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ცნობა სიტყვა სიტყვით ეკუთვნის თვით სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელს ნემიროვიჩ—დანჩენკოს.

მაგრამ გახარება ნაადრევი იქნება, რადგანაც ვერავინ, იტყვის, რომ მიუხედავათ ამისა მოსკოვის თეატრის სახელი დაუმსახურებელი იყოს. მაშ რაშია საქმე? საუკეთესო, ევროპაში ცნობილი თეატრი, თითქმის მილიონების მქონი არამც თუ ვერ ასრულებს პიესას უნაკლულოდ, არამედ ზოგჯერ ჩააფლავებს ხოლმე კიდეც.

ჩვენ თეატრსაც ხომ სხვა არა სჭირს რა: ზოგ პიესას კარგათ თამაშობს, ზოგს სუსტათ, ზოგსაც ცუდათ. ერთი შეხედვით ანალოგია სრულია.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მათი სიკარგე ჩვენ სიკარგეს არ უდრის, ჩვენი სისუსტე სულ სხვა ღირებულებისაა, ვიდრე მაგათი. როგორ? მოგახსენებთ.

რაც უნდა „ჩაფლავებული" წარმოდგენა აიღოთ სამხ. თეატრისა,—სასცენო ხელოვნების უცილობელ მოთხოვნილებებს მუდამ დააკმაყოფილებს. წარმოიდგინეთ, რომ ეს უცილობელი მოთხოვნილება არც იმდენია და არც ისე ძნელი, რომ არ შეგვეძლოს მისი ასრულება. ერთის სიტყვით რომა ვსთქვათ, მუშაობა თეატრისა, მომზადება პიესის უნდა იყოს კეთილსინდისიერი: ამისათვის ყოველ ნაბიჯს უნდა ჰქონდეს დასმული ბეჭედი გემოვნებისა და განდევნილი იყოს უმეცრება (უცოდინრობა).

დამერწმუნეთ რომ ეს სამართლიანი მოთხოვნილება ადვილი ასასრულებელია. ის, ვინც ამას ვერ, ან არ ასრულებს, უნდა განიდევნოს თეატრიდან, მას არა აქვს ადგილი ხელოვნების ტაძარში, იგი არ არის ხელოვანი, არამედ ხელოსანი და მეტად მდარე ხელოსანი.

**აკაკი ფაღავა.**

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოში, არა! ჩვენი მთავარი მიზანი და მოვალეობაც იყო აგვენიშნა მკითხველის წინაშე **სოციალისტური** ინტერნაციონალიზმის სრული სიკოტრე და უძლურება.

ამაზე კი გაზეთი გვიპასუხებს, რომ „მებრძოლი ქვეყნების სოციალისტები **ჩათრეული არიან** საშინელ სისხლის ღვრაშიო“ და გვარწმუნებს რომ „არც ერთი მათგანი მოპირდაპირე ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ არ ილაშქრებს, არც ერთი მათგანი მიზნათ არ ისახავს ხალხის დამარცხებასო. ე. ი. არ სჩადის იმას რასაც ნაციონალისტებისო“.

ამ საოცარი მსჯელობიდან შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ. თუ სოციალისტური პარტია გამოდის ბრძოლის ასპარეზზე და თავის მთავრობასთან ერთად მოწადინებულია გაანადგუროს თავისი მოწინააღმდეგე ერი, ეს სრულიად არ ნიშნავს თავის მოპირდაპირე ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ მოქმედებას, ღ თუ სხვა ვინმეა გამოსული სამოქმედოთ ეროვნულ დროშის ქვეშ, იგი უთუოთ ხალხის მტრათ არის აღიარებული, დაუნდობელი და „კაცის ჭამია“ ნაციონალისტის სახელით არის მონათლული.

ჩვენი აზრი „რომ ინტერნაციონალიზმმა ქედი მოიხარა ძლევა მოსილ ნაციონალიზმის წინაშე“ „ახალ აზრის“ მითად მიაჩნია და სხვა რომ ვერაფერი საბუთი მოყავს, გვიხსნის, რომ, თუმცა ახლა იგი ჲნიადაგო გამოდგა, მომავალში მაინც გამოიღებს. ნაყოფსო.

ერთხელ კიდე გავახსენებთ „ახალი აზრის“ რედაქციას, რომ ჩვენ მთელი ჩვენი არსებით იმის მსურველი გახლავართ, რომ რაც. შეიძლება მეტი თანხმობა და კეთილგანწყობილება არსებობდეს სახელმწიფოთა და ერთა შორის; ხოლო არ შეგვიძლია არ განვიმეოროთ, რომ ამჟამათ თქვენ მიერ ერთა შორის სოლიდარობის ქადაგება, სწორედ რომ „უქმ საქმეთ“ მიგვაჩნია, რომელსაც არავითარი ნაყოფის გამოღება არ შეუძლია არც ჩვენთვის და არც სხვისთვის.

რაც შეეხება „ახალი აზრის“ დახავსებულ აზროვნებას, თითქო ჩვენ ვიყოთ მთესველი სიძულვილისა და ღვარძლისა ერთა შორის, და მხოლოთ მის მიერ აღიარებული ჰუმანიური პრინციპების საშუალებით შეიძლება დამყარება მშვიდობიანობისა „ჩვენს ჭრელ ერიან ქვეყანაში“, ამაზე ჩვენ უპასუხებთ, რომ მართლაც შესაძლებელია მოხდენა ამ სასწაულ მოქმედების, იმ პირობით თუ თქვენ ძველებურათ, რადაც უზენაეს სამართლიანობის პრინციპის გამო ხელს აიღებთ საკუთარ ეროვნულ უფლებაზე, თვით მოისპობით და სხვას გააძლიერებთ.

ჩვენ, ერთხელ და საბოლოოთ ვაცხადებთ, რომ ჩვენი მიზანი არ არის სხვისი დაჩაგვრა, და დამონავება, ხოლო ნურას უკაცრავათ, თუ საკუთარი ჩვენი ეროვნული ცხოვრების წარმატებაზე, მისი ყოველ მხრივ დაწინაურებაზე ვფიქრობდეთ და ვილწოდეთ მთელი ჩვენი არსებით, რადგანაც ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ ვინც თავის პირად ცხოვრებას ვერ აწესრიგებს, თვითონ ვერ უძლევა თავის საკუთარ საქმეს, მას არც სხვისი დახმარება შეეძლება. როცა კაცი თავის თავს ვერ არგია, მას არც სხვისი შველის და დახმარების შნო აქვს.

ქართველი ნაციონალისტები „სხვისი სიძულვილისა და გაუტანლობის ხმებს კი არ აწვეთებენ ყურში ქართველ ხალხს“ არამედ ურჩევენ მას, რომ თავი არავის დააჩაგვრინოს, იმაროს ყოველი ღონის ძიება, რათა ამაღლდეს, გაღონიერდეს და დაიკავოს საპატიო ადგილი ერთა შორის.

ეს არის ჩვენი შეურყეველი რწმენა და ვინც ამის წინააღმდეგ მოისურვებს გამოლაშქრებას, იგი ჩვენი ხალხის მტრათ იქნება აღიარებული და როგორც ამგვარს შესაფერ ბრძოლას გამოვუცხადებთ.

ა. თ.

# ახალი ამბავი.

—

✦ ქალაქის საბჭოს იურიდიულმა კომისიამ მის მიერ მოწონებული ინჟენერ ქურდიანის პირობები, წყალსადენისა, ტრამვაისა, განათებისა და კანალიზაციის შესახებ ქალაქის საბჭოს გადასცა.

ამ პირობებსა და პროეკტის ტეხნიკურ მხარეებს ქალაქის საბჭო მომავალ კრებაზე განიხილავს.

✦ გუშინ, 24 თებერვალს, სამტრედიიდან ჩამოიყვანეს შავი სახადით ავადმყოფი „კონდუკტორი“ პავლე ახობაძე, რომელიც ქალაქის საავათმყოფოში მოათავსეს.

✦ როგორც ლანჩხუთიდან გვწერენ, 8 თებერვალს დ. ლანჩხუთში შესდგა ლანჩხუთის რაიონის კოოპერატივების წარმომადგენელთა კერძო თათბირი.

✦ ქუთაისის მეპურეებმა გუბერნატორს თხოვნა მისცეს, პურის ნიხრის გადიდების შესახებ.

✦ 27 თებერვალს, ქუთაისში გაიმართება ლია ბარათების გაყიდვა ჯარისკაცთათვის თეთრეულების დასამზადებელ თანხის გასაძლიერებლათ.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „კოოპერაციის“ მორიგი 28 ნუმერი, შემდეგი შინაარსით: 1) მოწინავე; 2) დამფუძნებელი კრების გამო; 3) აქციონური ამხანაგობა და კოოპერატიული ამხანაგობა; 4) უდიდესი ფუძნე; 5) კოოპერაციის მოამბე; 6) ათი მცნება ორატორთათვის და სხვა.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ქუთაისის გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა, ს. პატრიკეთში (ქუთაისის მაზრა) უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს გახსნის შესახებ.

ამავე საზოგადოებამ დაადგინა ამ მოკლე ხანში გამოსცეს აკაკის რჩეული ლექსების წიგნაკი ავტორის სურათით. წიგნაკები სამკითხველოების საშუალებით უნდა დაურიგდეს სახალხო სკოლების მოწაფეებს.

✦ ხვალ, 26 თებერვალს, დასრულდება ახალგაზრდა ჯარისკაცთა გაწვევა ტყიბულის რაიონიდან.

✦ ცუდი ამინდების გამო, ქუთაისის ბაზარზე სოფლებიდან სანოვაგე ნაკლებათ შემოდის.

✦ უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა ეკატერინე გაბაშვილის თხზულება „ოჯახის ბურჯი“, დასურათებული გამოცემა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისა.

✦ ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებამ დაადგინა გამოსცეს აკაკის რჩეული ლექსები მგოსნის სურათით, ეს წიგნაკები უნდა დაურიგდეს სახალხო სკოლების შეგირდებს.

✦ 27 თებერვალს სალიტერატურო კამათში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ: ილ. მ. ჩიქოვანი, ი. ფანცხავა, ტ. ჯაფარიძე და ს. რობაქიძე. კამათი გაიმართება კიტა აბაშიძის თავჯდომარეობით.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ქალაქის ფარნების მოიჯარადრე იულიუს ანდრიას ძე საარეკი რომელმაც შემდეგი განაცხადა:

მართალია ამ ჟამათ ქუთაისში ფარნები არ ინთება, მაგრამ ამაში არ არის დამნაშავე არც ქალაქის გამგეობა და არც მოიჯარადრე, ვინაიდან ფარნებს ყოველ გვარი მოწყობილობა მოდის გერმანიიდან და ახლა კი გზები შეკრულიაო.

თუ ვინმეს რამე საქმე ექნება თვით მოიჯარადრესთან, ტელეფონით უნდა მიმართოს ბინაზე. ტელეფონის № 15.

✦ 28 თებერვალს, ოლქის სასამართლომ გაარჩია წივწივაძისა, კოპალეიშვილისა, ბუაძისა და კილასონიას საქმე, რომლებსაც ბრალდებოდათ ცნობილი ყაჩაღის სამანიშვილის შენახვა. სასამართლომ პირველი სამი გაამართლა, ხოლო კილასონიას 2 წლისა და 8 თვის გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა.

✦ 27 თებერვალს, მომრიგებელ მოსამართლესთან საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უ. თოდუას მოძრავი ქონება.

✦ 27 თებერვალს, ოლქის სასამართლო გაარჩევს გიორგი ერისთავის, ნიკოლოზ თავდგირიძის, სტეფანე გუკის, ტიმოთე ანუას და ალექსანდრე ყიფიანის საქმეს.

✦ ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია“. დღეს, 25 თებერვალს, ადგილობრივ თვითმართველობის დარბაზში შესდგება ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის“ დამფუძნებელი კრება, რომელზედაც განიხილება შემდეგი საგნები: 1) ცხოვრების გაძვირება და მასთან ბრძოლა; 2) დამაარსებელთა მოქმედება; 3) მომხმარებელი კოოპერატივის მიზანი და ძირითადი პრინციპები; 4) კოოპერატიული ფუნდ და მისი მნიშვნელობა; 5) კოოპერატიული სახლილო; 6) მუნიციპალიტეტსა და კოოპერატივს შორის დამოკიდებულება; 7) წევრების მიღება; 8) არჩევნები და სხ. დაწვრილებით ცნობები მოთავსებულია ჟურნალ „კოოპერაციის“ № 28-ში.

მომხმარებელი საზოგადოების დაარსებას განსაკუთრებით მოითხოვს დღევანდელი მომენტი და ამიტომ სასურველია, რაც შეიძლება მეტი საზოგადოება დაესწროს აღნიშნულ კრებას.

## ვარლამ გელოვანის ხსოვნას.

—:—

კუბო... ცრემლი... კვლავ წამებით,  
მსხვერპლზე მსხვერპლი იწირება,  
ვინ ინდომა გმირთ აკლდამის  
სისხლის ცრემლით დატირება?!

ან სიკვდილი რად არ სცხრება!  
ნუ თუ დღემდის არ იკმარა  
რაც რომ დედის მწუხარებით  
მწარე ცრემლი დაიღვარა?

ლადო მაჭავარიანი.

# ო მ ი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

## რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 23 თებერვალი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან:

სუვალკის რაიონში მტერი განდევნილია მარიანპოლის, სიჟნოსა და ავგუსტოვოს ფრონტებისაკენ. ჩვენი თავდასხმა კვლავ გრძელდება. ნარევის მარჯვენა მხარეზე მდგომარეობა უცვლელია. ვისლის მარცხენა მხარეზე, პილიცის რაიონში, გერმანელების იერიში შეჩერებულია. ჩვენს ჯარს აქ მტერზე კონტრიერიში მიაქვს. კარპატებში, სვიდნიკის რაიონში, ავსტრიელებმა იერიშები შესწყვიტეს და განშორდნენ ჩვენს პოზიციებს, თუმცა განაგრძობენ ჩვენს პოზიციებზე პატარ-პატარა იერიშების მოტანას, ბოლიგროდის მხარეზე. ასეთსავე პირობებშია ბრძოლა კოზიუვკასთან და ტუხლოსთან, კლაუსში მთელი ბათალიონი მტრის ჯარისა ტყვეთ დავგენებდა.

**პეტროგრადი.** 23 თებერვალი. გერმანელები გროდნოდან უკან დახევას იმით ხსნიან, თითქოს ის ჯარი, რომელიც ჩვენ უკუვაგდეთ, მათ სხვა, უფრო მნიშვნელოვან ფრონტისთვის წაიყვანოსთ უკან. ჩვენ კი ამ განმარტებას დავუმატებთ, რომ მათი გროდნოდან უკან დახევა მოხდა თანახმად იმ ბრძანებისა, რომელიც გამოიცა მტრის ჯარში, 15 თებერვალს. ამ ბრძანების საბაბი კი იყო პრასნიშთან ჩვენი გამარჯვება 14 თებერვალს, როდესაც საბოლოოთ გამოირკვა მათი ორი კორპუსის სრული განადგურება, და როდესაც ჩვენმა ჯარმა რომელსაც მხარს უჭერდა საციხოვნო არტილერია, დიდიხნის ბრძოლის შემდეგ, იერიშით აიღო სიმაღლე „100-3“, ამასთანავე აქიდან ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 კაცი და წამოვიღეთ რამოდენიმე იარაღი. ამ სიმაღლეს იცავდა გერმანიის საუკეთესო ჯარი მე-21 კორპუსი. საერთო დანაკარგი ამ კორპუსისა 15 თებერვლის ბრძოლაში „100-3“ სიმაღლის ხელში ჩასაგდებათ, როგორც ეს მოკლული გვამებიდან სჩანს, 15 ათასს აღემატებოდა. გერმანელებს უნაყოფო კონტრიერიშები მოქონდათ „100-3“ სიმაღლის დასაბრუნებლათ. აქ ჩვენ განვაგრძობდით მთელი რიგი სოფლების ერთი მეორეზე აღებას და მოგვყავდა აურაცხელი ტყვე.

20 თებერვალს, გერმანელები ოსოვეცს კიდევ ესროდენ 12 დიუმიან მორტირებს და შემდეგ კი ყუმბარების დაშენა ამ ციხეზე გრძელდებოდა საშუალო კალიბრის ზარბაზნებიდან.

მლავის მხარეზე ჩვენგან სადგურ კონოპკის აღების დროს ეფრეიტორმა ლემეშწინმა და ჯარისკაცმა კოზაჩენკომ წამოიყვანეს რამოდენიმე ტყვე, მათ შორის ერთი, ბათალიონის სარდალი, რომელიც წინათ მსახურებდა პრუსიის გენერალურ შტაბში.

## ინგლისი და ოსმალეთი.

**ლონდონი.** 23 თებერვალი. ინდოეთის საქმეების სტატს-სეკრეტარი იუწყება: 18 თებერვალს, ქალაქ ავაშის გარნიზონის ერთმა ძლიერმა რაზმმა მოახდინა დაზვერვა იმის შესატყობათ, თუ ოსმალეთს რამდენი ჯარი ყავდა თავის პოზიციაზე და რამდენი სპარსელი ყავდა მათ შეერთებული შეიხ მახხამერის საწინამდმდეგოთ. გამოირკვა, რომ მტრის ჯარი 2 ათასი კაცისგან შესდგებოდა. მზვერავმა რაზმმა ჩინებულათ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და მტერთან შეტაკების დროს უზარალოთ დაიხია უკან. ამ შეტაკებაში მტერმა დაკარგა: 200-დან 300 კაცამდი მოკლული, მათ რიცხვში სამი ძლიერ გავლენიანი შეიხი და 500—600 კაცამდი დაჭრილი. ამავე დღეს ცხენოსანმა რაზმმა დაზვერა ბოსორის დასავლეთის მხარე. აქ მტრის ჯარი—1500 კაცისაგან შემდგარი, რაზმმა მოულოდნელათ მოამწყვდია და ძლიერაც დაამარცხა. ინგლის-ინდოეთის ზარალია: 68 მოკლული და 133 დაჭრილი.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 23 თებრვალი. ოფიციალური ცნობა. არრასის ჩრდილოეთით ნაშუადღევის სამ საათზე, 22 თებერვალს, ჩვენ წინ წავიწიეთ. ნოტრდამისა და დელორეტის რაიონში, სადაც კონტრ-იერიშით ჩვენ დავიკავეთ რამოდენიმე თხრილი, მტერმა დიდი ზარალი ნახა. შამპანიაში, პერტის ჩრდილოეთით,—წინ წავიწიეთ. ვოგეზში, ჩვენ თანდათანობით დავიკავეთ მიუნსტერის დასავლეთით რეიხაკერკოპფის (დიდის და პატარის) სიმაღლენი. აქ მტერმა მოიტანა ჩვენზე ორი კონტრიერიში, მაგრამ ჩვენ ეს იერიშები მტრისთვის დიდ საზარალოთ მოვიგერეთ. ამავე დროს ჩვენ დავიკავეთ ინბურგი და უკუვაგდეთ გერმანელების ბათალიონის იერიში. აქ ჩვენ წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. საღამოს ცნობიდან სჩანს,—რომ გერმანელებმა მოინდომეს არრასის ჩრდილოეთით ნოტრდამსა და დელორეტზე კონტრიერიშის მოტანა, მაგრამ თავის განზრახვ ვერ შეასრულეს. ამას შემდეგ მტერმა სამჯერ ზედიზედ მოიტანა იერიში, მაგრამ ყველა იერიში მის საზარალოთ დასრულდა. პერტის დასავლეთით, შამპანიაში ჩვენ დავემკვიდრეთ მტრისაგან გამაგრებულ პოზიციებზე. ბრძოლა სხვა ფრონტებზეც სწარმოებს; გერმანელები ყველგან მარცხდებიან.

## დ ა რ დ ა ნ ე ლ თ ა ნ.

**პარიზი.** 23 თებერვალი. საზღვაო სამინისტრო იუწყება. 21 თებერვალს ჯავშნიანმა გემმა „კვეენ-ელიზაბეტმა“ შორიდან ნატყორცნი ცეცხლით იერიში მიიტანა საროსის ნავსადგურიდან ორ ვეებერთელა სიმაგრეზე, რომლებიც აზიის მხარეზე მდებარეობენ და რომლებიც იცავს ჩინაკალეს გასავალს. ცეცხლი გაუჩინა ორ ფორტს „ჰამიდიე“ პირველ ნომერს და „სულთანიეს“. ჯავშნოსანი გემი ამას შემდეგ შევიდა სრუტეში და განაგრძობდა ცეცხლის შორიდან ტყოცნას დარდანელის ფორტების ორსავე მხარეზე.

## შ ა ვ ზ ღ ვ ა ზ ე.

**პეტროგრადი.** 23 და 22 თებერვალს შავი ზღვის ფლოტმა ყუმბარები დაუშინა ზუნირედეს, ერეგლის, კილიმნისა და კოზლუს, მტრის ბატარეები ჩაჩუმებულ იქნენ. ფლოტის ყუმბარებით დაინგრა ნახშირის სარეცხი და გადასაზიდი შენობები. ჩვენმა ფლოტმა ჩაძირა 9 გემი რომელთა შორისაც ერთი იალქნიანი იყო.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**ხოლუნი.** 22 თებერვალი. ვენიზელოსის სამსახურიდან გამოსვლა ადგილობრივ მცხოვრებლებისთვის თავზარდამცემი მეხი იყო. ხალხი მოუთმენლად მოელოდა მობილიზაციის შესახებ ბრძანებას, რომ, სამთა შეთანხმების სახელმწიფოებთან ერთად, ოსმალეთის წინააღმდეგ გაელაშქრა მთავრობას. აქ იტყობინებიან, რომ ოსმალებს ჩესმაში რუსების ნიში დაუწვავთ, რომელიც 1770 წელ. ზღვაზე მომხდარ ბრძოლის სამხსოვრათ ყოფილა აშენებული; მოუკლავთ დარაჯი [illegible] ექვსი შვილი.

**სტოკჰოლმი.** 22 [illegible]ნიის კავშირის საბჭოს განკარგულებით, 1915 წელში სოფლის მეურნეების თანახმად, საშაქრე ჭარხლის თესვა უნდა შემცირდეს, რადგანაც ბენზინის უქონლობის გამო სამხედრო ავტომობილებს სპირტი ხმარდება. სპირტის დასამუშავებლათ პურისა და კარტოფილის მაგიერათ კი შაქარი ხმარდება,—ამნაირათ მოსალოდნელია შაქრის წარმოების შემცირება 1915—1916 წლ.

როტერდამიდან გაზეთები იტყობინებიან, რომ გერმანიის მთავრობას განუზრახავს სპილენძისა და სხვა საჭირო ლითონის აღმოსაჩენათ ახალი ზომები მიიღოს, რადგანაც ამას წინათ, მთავრობის განკარგულების თანახმად ბელგიელებმა მთავრობას ნამდვილი ცნობა არ მისცეს იმის შესახებ, თუ ვის რა გვარის ან რამდენი ლითონი ჰქონდა შენახული. ახლა გერმანიის მთავრობა ბელგიელებს აღარ ენდობა და ყველას გაჩხრეკს.

**რომი.** 31 თებერვალი. დაარსდა ვაჭრობის საზოგადოება იტალიის, რუსეთის და ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის. საზოგადოების პრეზიდენტათ არჩეულ იქნა გრ. ფობერტო ავისკონტი.

**პეტროგრადი.** 21 თებერვალი. 10 მარტს მთელი იმპერიის თავად-აზნაურობის რწმუნებულთა და გუბერნიების წინამძღოლთა კრება მოხდება, რომელიც დღევანდელ პირობებისაგან გამოწვეულ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას შეუდგება. მაგალ. დაჭრილთა დამხმარე ორგანიზაციის მოწყობისა, მეურნეობის განვითარებისა, ვაჭრობა-მრეწველობისა და დამუშავებული სპირტით ვაჭრობის მოგვარების შესახებ.

**პარიზი.** 22 თებერვალი. იმ შთაბეჭდილების გამო, რომელიც მოახდინა აქ ვენეზილოსის გადადგომამ გაზ. „Temprs“ სწერს: ჩვენ ძალიან მალე შევიტყობთ ვენეზილოსის გადადგომის მიზეზს. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩვენ ერთ წუთსაც კი არ ვიფიქრებთ, რომ საბერძნეთმა გადაუხვიოს თავის ისტორიულ გზიდან და უარი სთქვას ტრადიციულ მეგობრობაზეო.

**პარიზი.** 22 თებერვალი. იმ შთაბეჭდილების გამო, რომელიც მოახდინა აქ ვენეზილოსის გადადგომამ გაზ. „Temps“ სწერს: ჩვენ ძალიან მალე შევიტყობთ ვენეზილოსის გადადგომის მიზეზს. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩვენ ერთ წუთსაც კი არ ვიფიქრებთ, რომ საბერძნეთმა გადაუხვიოს თავის ისტორიულ გზიდან და უარი სთქვას ტრადიციულ მეგობრობაზეო.

**პარიზი.** 22 თებერვალი. საბერძნეთში მომხდარ სამინისტრო კრიზის გამო პიშონი „პეტი-ჟურნალში“ სწერს: დარდანელზე ყუმბარების დაშენამ გერმანიაში დიდი შიში გამოიწვია, ამ გარემოებამ გააძლიერა პროპაგანდა და ათასნაირი ინტრიგა ნეიტრალურ სახელმწიფოებში. ვინაიდან საბერძნეთის აქტიური გამოსვლის მომხრეებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს, გერმანია ახალი საშუალების ძებნას შეუდგება, და ამ გარემოებას მოკავშირეებმა ახლავე სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონო.

**ათინა.** 22 თებერვალი. ათინის სააგენტო იუწყება, გაზეთები ურჩევენ ყველა ბერძენს, რომ თანამედროვე პირობებში საჭიროა მათ გამოიჩინონ სიმშვიდე, ერთსულოვნება და დაკვირვება, უნდა მოერიდენ ისეთ მოქმედებას, რაც ზიანს მოუტანს ნაციონალურ ინტერესების დაცვას. ვენეზილოსის დათხოვნით თუმცა ძლიერ გულმოწყვეტილია საზოგადოება, მაგრამ დემონსტრაციები და რაიმე უწესოება არ მომხდარა. ზაიმისმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა კაბინეტის შედგენა. შეიძლება სამინისტრო კაბინეტი ხვალ შესდგეს. ირწმუნებიან, რომ ზაიმისი მიიღებს გარეშე საქმეთა სამინისტროს პორთფელსო.

**რომი.** 22 თებერვალი. საბერძნეთის სამეფო საბჭოს მოულოდნელმა საქციელმა აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და პოლიტიკურსა და დიპლომატიურ წრეებში დიდი გაკვირვება გამოიწვია. მიუხედავათ ამისა, საერთო აზრია, რომ ეს გადაწყვეტილება კიდევ არ ნიშნავს ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოების პოლიტიკის გამარჯვებას, ან და სამთა შეთანხმების დიპლომატიის დამარცხებას. „მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის მ—ბის" ქუთაისში

## ხ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი **მიღებულია.** ვინც თესლს შეგვიკვეთს **პირველ მარტამდი** არა ნაკლებ ერთი ფუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი [illegible] 2 მ. 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი **ექვთიმეს ძე ნუცუბიძე,** რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.


საჯერო" სწერს, რომ ვენეზილოსის გადადგომისთანავე ხალხი მოახდენს დემონსტრაციებს და მეფე კონსტანტინეც უნდა დაემორჩილოს ხალხის მოთხოვნილებასო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ქართველი ყაზახები.

მოსკოვის სამეცნიერო და სალიტერატურო ქართულ საზოგადოებას კომპოზ. დ. ნ. არაყიშვილმა ქართველ ყაზახების არსებობის შესახებ ცნობა მისცა. ესენი ცხოვრობენ მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე ალექსანდროვის სტანიცაში (ყაზახების სოფელია) ყიზლარის ახლოს, და აგრეთვე შელკოზავოდსკის სტანიცაში, გროზნოსთან. 200 წელიწადია რაც ეს ქართველი ყაზახები საქართველოდან გადასახლებულან, მაგრამ ენა, ზნე-ჩვეულება და ხალხური სიმღერები მაინც არ დავიწყებიათ. ქორწილის წეს-რიგი უცვლელათ შეუნარჩუნებიათ. შეუნახავთ აგრეთვე ქართული გვარები: ბიბილური, ლომიძე, მაგრამ ბევრის გვარი რუსულათაა გადაკეთებული.

ფონოგრაფის საშუალებით საჯაროთ განმეორებული მათი სიმღერები ქიზიყის სიმღერებს მოაგონებს მსმენელთ, ამის და მიხედვით მომხსენებელი დაასკვნის, რომ ესენი უთუოთ ქიზიყიდან უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი.

### საბერძნეთი.

მინისტრთა საბჭოს აზრით, საბერძნეთი დღევანდელ ომს გულგრილათ არ უნდა შეხვდეს. თვით მინისტრთა საბჭოს საბერძნეთის გამოსვლის შესახებ ჯერ არაფერი გადაწყვიტილება მიუღია. მცოდნე წრეებში ამბობენ, რომ საქმის ვითარება ორი დღის შემდეგ უთუოდ გამოირკვევაო.

## ჭირზე ჭირი.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი ყოველდღიური თუ ხან გამოშვებითი გამომცემლობა როგორ უნუგეშოთ მდგომარეობაში იმყოფება. ხშირათ, ძალიან ხშირათ არსდება ჩვენში ესა თუ ის ორგანო, ესა თუ ის გამომცემლობა, მაგრამ გაივლის თვე, ორი-სამი და „სულთათანას" უგალობენ ხოლმე.

რათა?

იმიტომ რომ, საკმაო ბაზარი ვერ უშოვნია, მკითხველი ვერ გაუჩენია.

ქართველების უმრავლესობაა გლეხობა და ამათთვის კი ჩვენში თითქმის არც ერთი გამომცემლობა არ არსებობს.

სახალხო წიგნების გამომცემლობა, ეს უუწმინდესი ხელობა, ამ ბოლო ხანებში ხელში ჩაუგდიათ ვიღაც გაიძვერებს, ჩარჩებს და რყვნიან მდაბიო მკითხველთა გულ-გონებას.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ხშირათ შეხვდებით ხოლმე ვიღაც მაწანწალა ალ. შახბარათოვის გამოცემულ წიგნაკებს, რაც ბუდეა მთელი რიგი გარყვნილებისა, უზნეობისა და უვიცობისა...

იგი ასეთ წიგნაკებს თითქმის ყოველ კვირაში ბეჭდავს.

გასაოცარია, ვინ აწვდის ასეთ მასალებს, თვით გამომცემელი უვიცია. მან წერა-კითხვაც არ იცის. წიგნაკებს კი **ათასობით** ბეჭდავს და პროვინციებში თითო-ოროლ კაპეიკათ ჰყიდის. მოგება რასაკვირველია კარგათ რჩება, რადგანაც ბლომათ ასაღებს.

ბ. შახბარათოვს თავის წიგნაკებში ამ ბოლო დროს აკაკის „ლექსებიც" ჩაურთავს, მაგრამ ისეთი დამახინჯებული და შერყვნილია უკვდავი ლექსები ჩვენის დიდი მგოსნისა, რომ სირცხვილი ალმური გწვავთ.

ასეთი მოვლენის ატანა ყოვლათ შეუძლებელია. ამას მჯავრი თვით საზოგადოებამ უნდა დასდოს და მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს არსებულმა პროგრესიულმა ორგანოებმა, თორემ შახბარათოვს სხვებიც ბაძავენ. მაგალითათ, ასეთ ხელობას ეწევა „გალუსტოვის" წიგნის მაღაზიაც.

გვეყოფა ჭირი ჭირზე, ვეცადოთ და ამ ვაჭრ ტონების თარეშს, როგორმე ბოლო მოვუღოთ, რომ არ გაირყვნეს მდაბიო მკითხველთა ზნეობა, გემოვნება.

ნიკ.—რი.

## ხმა სოფლიდან.

ომის გამოცხადების პირველ დღიდან სოფლის ცხოვრების სურათი ძალიან შეიცვალა. ომმა თავის გავლენა სოფლის მეურნეობის, ყოველ დარგს დაამჩნია. და რამდენათ გრძელდება ეს ომი, იმდენათ საგრძნობი ხდება მისი გავლენა. დღემდი უმუშახელოდ სოფელი იოლად მიდიოდა, მაგრამ დღეისშემდეგ კი მას ეს არ შეუძლია. უკვე მოახლოვდა დრო მიდვრათ გასვლისა და ყანების დამუშავებისა. აქ საჭიროა მამაკაცის მუშა ხელი. ჩვენ დედაკაცებს ამ დარგში არაოდეს არ უმუშავნიათ და ვერც ახლა შეიძლებენ. უმუშახელობა კიდევ უფრო მწვავე იქნება მაშინ, როდესაც სიმიდის გათოხნის დრო მოვა. მიწის მოხვნა, დათესა, იმდენათ ძნელი სამუშაო არ არის და იმდენ მუშა ხელს არ თხოულობს, როგორც გათოხნა.

სოფლის ცხოვრება იშლება, გლეხის მეურნეობა ინგრევა და ყურადღებას კი არავინ აქცევს მას. შეუძლებელია კერძო ინიციატივამ აქ რაიმე გააწყოს და სოფელს საჭირო დახმარება მისცეს. კერძო ინიციატივს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ ექნება. საჭიროა შეერთებული, შეთანხმებული ორგანიზაციული მუშაობა, საჭიროა მთავრობის დიდი ყურადღება, რომ სოფელმა გაჭირვებას გაუძლოს და კარს მომდგარ უბედურებას თავი დააღწიოს.

წრევანდელი ხალხის გაჭირვება სულ სხვა ხასიათისაა. წელს ისედაც უპატრონო სოფელს, ყველა უბეღურება თავს დაატყდა: ომი, მისგან გამოწვეული ცხოვრების გაძვირება, შარშანდელი და წრევანდელი მოუსავლობა, რომელ ერთს უნდა გაუძლოს ყველასაგან უყურადღებოთ დატოვებულმა და აუტანელ მდგომარეობაში მყოფმა სოფელმა?

უნუგეშოა სოფლის დღევანდელი მდგომარეობა და კიდევ უფრო უნუგეშო იქნება ახლო მომავალში. თუ არა დიდი დახმარება, ხალხს როგორ შეუძლია ორი სამითვის შემდეგ გაჭირვებას გაუმკლავდეს. გაჭირვება იზდება, ძლიერდება, ხოლო ხალხს მშველელი არავინ უჩნდება, რომ ამ გაჭირვებას შეებრძოლოს.

ასეთ გაჭირვების დროს გურიის სამღვდელოების მოქმედება მეტად მოსაწონი და სასიამოვნოა. გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული, რომ ხსენებულმა სამღვდელოებამ დაადგინა,—არ შეკრიბოს წელს ხალხში დრამის ფული.

სასურველია ამ მაგალითს იმერეთისა და სამეგრელოს სამღვდელოებაც მიმართავდენ.

სოფელს დახმარება სჭირია, სოფელი გაჭირვებაშია.

მეტი ყურადღება, მეტი მზრუნველობა სოფელზე!.

გ. ხონელი.

## დაბა-სოფლები.

**ს. ბაში.** ამ სოფლის ადგილ მდებარეობა ვაკეა. ნიადაგი ნოყიერი. მოსავალი შედარებით სხვა სოფლებთან კარგი იცის. მკვიდრნი უმთავრესათ ხვნა-თესვას მისდევენ, მევენახეობას ნაკლებათ მისდევენ. ამ სოფელს სამხრეთით ჩამოუდის მდ. რიონი, რომელიც დიდ ზარალს აყენებს აქაურ მცხოვრებთ. იყო ისეთი შემთხვევა, რომ მდ. რიონმა ნახნავ-ნათესი მიწები მთლათ ერთიანათ წაღეკა, რაც ჭალა ადგილები იყო, სულ რიყედ აქცია.

აქ არსებობს ერთკლასიანი სამინ. სასწავლებელი, რომელიც ამ სამი წლის წინეთ უნდა გადაკეთებულიყო ორკლასიან სამ. სასწავლებლად, მაგრამ, ზოგიერთი ვაჟბატონის წყალობით, საქმე ჩაიშალა. ამ რიგათ ბევრი ახალგაზდა შკოლის გარეთ დარჩა, სწავლის განგრძობა კი იათ ვერ შესძლეს სხაგან ხელმოკლეობისა გამო. თუ კი ისეთ მავნე ქონებრივი დამაქვეითებელ ჩვეულებებში, როგორც ტირილი და სხვა წვეულება, უკანასკნელ გროშს არ ვზოგავთ, ნუ თუ ეს ფული არ შეგვეძლო კულტურული დაწესებულებისათვის მოგვეხმარებია და ჩვენი შკოლების სწავლა-აღზდის საქმე კარგ ნიადაგზე დაგვეყენებინა. დიაღ ეს შეგვეძლო, მაგრამ მეთაურობა და ერთსულოვნება გვაკლია და, ჩვენდა სამწუხაროთ, ეს გარემოება ძლიერ გვიცარავს ხელს. დროა აწ მაინც მოვკიდოთ ხელი საერთო საქმეს და ჩვენვე ვიზრუნოთ ჩვენი მომავლისათვის, თორემ სხვისი შემყურე ფართო ლოგინს ვერაოდეს ვერ გაიშლის.

ბაკო ფშანასპარელი.

**ხოფ. სალხინო.** (სენაკის მაზრა) 8 თებერვალს ადგილობრივ ორკლასიან სასწავლებლის დარბაზში მოხდა წვრილი საკრედიტო ამხანაგობის წევრთა წლიური კრება. ამხანაგობას ჰყავს 350 წევრი, რომლისაგან კრებას დაესწრო 250 წევრი. თავჯდომარეთ კრებამ ერთხმათ აირჩია კ. ქვარცხავა. ამის შემდეგ მოანგარიშემ კ. ზ. გობეჩიამ კრებას ჩააბარა 1914 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომლისაგან წმინდა მოგება, ყოველივე ხარჯს გარდა, დარჩა 226 მ. და 16 კაპ. კრება წლიური ანგარიშითა და საქმის კარგა წარმოებით კმაყოფილი დარჩა, რის გამოც მადლობა გამოუცხადა გამგეობას. ეს ორი წელიწადია, რაც საკრედიტო ამხანაგობა დაარსდა სალხინოში და ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ რომელიმე წევრის სესხი პროტესტში წასულიყოს.

დასასრულ კრებამ დაადგინა: 20 მან. ჯამაგირზე მიემატოს მოანგარიშეს, რომელსაც პირველ წელს ეძლეოდა 60 მ. მეორეს კი 100 მ.; 50 მ. დაენიშნოს ჯამაგირათ კასირს გ. ფიჩხაიას, რომელიც დღემდი უსასყიდლოთ ემსახურებოდა ამხანაგობას.

1914 წლის მოგება ამ ნაირათ გაანაწილეს: 146 მ. და 16 კ. მიემატოს ძირითად თანხას, 60 მ. სათადარიგო თანხას, ხოლო 20 მ. გაიგზავნოს ჯარში გაწვეულ მეომართა ღარიბ ოჯახების სასარგებლოთ. გამგეობისა და საბჭოს დანარჩენმა წევრებმა უსასყიდლოთ სამსახური იკისრეს. სამსახურიდან გავიდნენ: სამმართველოს წევრი მღვდ. პ. კვარაცხელია და საბჭოს წევრი მღვდ. ა. გოგოლაძე. მათ მაგიერ პირველის ადგილზე აირჩიეს მასწ. ნ. ლაშხია და მეორეს—მღვდ. გ. გაგუა.

ვ. როყვა.


## გაზეთ „შრომის" რედაქცია

საზოგადოებისა და ხელმომწერთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ სხვადასხვა მიზეზებისა გამო დროებით შეჩერდა როგორც ყოველდღიური, ისე ყოველკვირეული „შრომის" გამოცემა.

ახლო მომავალში რედაქცია უსათუოდ განაახლებს გაზეთის გამოცემას და ხელისმომწერლებიც ჩვეულებრივათ მიიღებენ.

პატივისცემით „შრომის" რედაქცია.

უფ. 3—1

---

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

## „სამშობლო"

**გაზეთი ღირს:**

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის" ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო"** თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება **სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები.

**მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.**

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

---

**გამოვიდა და იყიდება**

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

**ფასი 60 კაპ.**

---

## ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში.

---

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакіи" 10 კ.

**აქვე იმყოფება საჭირო შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XII ს ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ [?] პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

---

**სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონლის**

**ფ. დ. ერქომაიშვილი და ა-ბის**

ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა **ქუთაისში.** სავაჭრო გაიხსნა თფილისის ქუჩა და საკათედრო მოედანის კუთხეში, რიჟინაშვილის ახალ შენობაში, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ.

**გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასეზონო საქონელი.**

საქონელი იყიდება ხელმისაწდომ ფასებში.

პატივის ცემით: **ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა.** 12—6

---

**ქუთაისი**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. **კურსი ათთვიანია.**

**სწავლის ფული ასი მან.**

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.** თ.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. ქოხრეიძისა—ქუთაისში. რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.